შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის კონკურსის ძირითადი პირობები

პრემიის მინიჭების პირობები

- პრემია პირს ენიჭება ლიტერატურის, მუსიკის, კინოხელოვნების, თეატრალური ხელოვნების, სახვითი ხელოვნების ან არქიტექტურის დარგში შექმნილი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებისათვის, რომლის მხატვრულმა ღირსებებმა საერთო ეროვნული აღიარება მოიპოვა და განმსჭვალულია პატრიოტიზმის, თავისუფლებისა და ჰუმანიზმის ზოგადსაკაცობრიო იდეალებით.

- პრემია გაიცემა 3 წელიწადში ერთხელ, არა უმეტეს ხუთისა, თითოეული 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით. პირს, რომელიც მოიპოვებს პრემიას, გადაეცემა პრემიის ლაურეატის დიპლომი, სამკერდე ნიშანი და შესაბამისი ფულადი გასაცემელი.

კანდიდატთა წარდგენის წესი/ნაწარმოების წარდგენისათვის დადგენილი პირობები

- პრემია, როგორც წესი, ენიჭება საქართველოს მოქალაქეს. საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, პრემია შეიძლება მიენიჭოს უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს.

- პრემიის მოსაპოვებლად კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ შესაბამისი ავტორიტეტისა და კომპეტენციის მქონე იმ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებს, შემოქმედებით ან სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, საინიციატივო ჯგუფებს, რომლებიც მოღვაწეობენ ხელოვნების ან/და ლიტერატურის დარგში.

- პრემიის მოსაპოვებლად შესაძლოა ავტორთა ჯგუფის/თანაავტორთა წარდგენა.

- პირი არ შეიძლება წარდგენილი იყოს ორი პრემიის მოსაპოვებლად ერთი ნაწარმოებისათვის.

- ლიტერატურული ნაწარმოების წარდგენა დასაშვებია მისი დასრულებული სახით გამოქვეყნების შემდეგ.

- მუსიკის, კინოხელოვნების, თეატრალური ხელოვნების, სახვით ხელოვნების ან არქიტექტურის დარგში ნაწარმოების წარდგენა დასაშვებია მას შემდეგ, რაც მას გაეცნობა ფართო საზოგადოება კონცერტებზე, გამოფენებზე, კინოთეატრებში, პრესის, რადიოს თუ ტელევიზიის საშუალებით.

- არქიტექტურული ნაწარმოების წარდგენა დასაშვებია მხოლოდ ობიექტის დასრულებისა და ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ.

- პრემია შეიძლება მიენიჭოს გარდაცვლილ მეცნიერს ან/და ავტორს იმ შემთხვევაში, თუ მისი ნაწარმოები გამოქვეყნდა საკონკურსო განაცხადების მიღების დასრულებამდე და აკმაყოფილებს შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილ პირობებს.

• დაუშვებელია ერთი და იმავე ნაწარმოების განმეორებით წარდგენა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაწარმოები საკონკურსოდ დაშვებული არ იქნა ტექნიკური ხარვეზის გამო.

კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) წარდგინება ნაწარმოების აღწერა-დახასიათებითა და იმ განსაკუთრებული ღირსებების აღნიშვნით, რის გამოც ხდება მისი ავტორის პრემიის მოსაპოვებლად წარდგენა. დოკუმენტს ხელს უნდა აწერდეს წარმდგენი ორგანიზაციის ხელმძღვანელი/საინიციატივო ჯგუფის ყველა წევრი;

ბ) საკონკურსო ნაწარმოების შესახებ პრესაში გამოქვეყნებული რეცენზიები და/ან სხვა მასალები ნაწარმოებზე წარმოდგენის შესაქმნელად;

გ) ლიტერატურული ნაწარმოების - მატერიალურად წარმოდგენის შემთხვევაში 9 ეგზემპლარად (მათ შორის, ერთი ორიგინალი მაინც). კამერული მუსიკალური ნაწარმოების კლავირი - 2 ეგზემპლარად, აუდიო/ვიდეო ჩანაწერები.

დ) არქიტექტურული ნაწარმოების შემთხვევაში - ობიექტის დასრულებისა და ექსპლუატაციაში შესვლის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი.

ე) კანდიდატის ბიოგრაფია (CV);

ვ) კანდიდატის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ასლი.

საკონკურსო განაცხადისა და თანდართული მასალის მიღების ვადა და ადგილი:

პრემიის მოსაპოვებლად საკონკურსო განაცხადები და ნაწარმოებები მიიღება ელექტრონულად 2021 წლის პირველი ოქტომბრიდან - 29 ოქტომბრის ჩათვლით, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე info@president.gov.ge, ხოლო ის ნაწარმოები, რომელიც თავისი მოცულობის ან სპეციფიკის გათვალისწინებით შეუძლებელია წარმოდგენილი იქნეს ელექტრონული ფორმით, მიიღება მატერიალურად ელექტრონული განაცხადის გადმოგზავნის შემდგომ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ქ. თბილისი, ათონელის ქ. N25, საფოსტო ინდექსი - 0114.